

აბოლსის იგანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

მზია ზაცანაძე.

ნასესხებ სიტყვათა ტიპოლოგიური სტატუსი  
თანამედროვე ფრანგულ ენაში  
(თანამედროვე ანგლო-ამერიკანიზმები  
90-ანი წლების ფრანგულ პრესაში)

10.02.07. რომანული ენები

ს ა დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა მ ა ც ნ ე

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის  
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად



ნაშრომი შესრულებულია თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრანგული ფილოლოგიის კამეფრაზე.

მეცნიერ-ხელმძღვანელი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი ი.ცხაკაძე

ოფიციალური ოპონენტები:

1. რუსუდან ენუქიძე, ფილოლოგიის  
მეცნიერებათა დოქტორი.
2. მზალ დობტურიშვილი, ფილოლოგიის  
მეცნიერებათა კანდიდატი.

დისერტაციის დაცვა შედგება თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელობის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბატესტაციო საბჭოს

F 10.02. CN 10-10 სხდომაზე

თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. I, კორპ. I, აუფ. №

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია ასეუ ბიბლიოთეკის სამეცნიერო  
დარბაზში.

„სადისერტაციო მაცნე“ დაიჯზანა -----

სამეცნიერო-საბატესტაციო საბჭოს

სწავლული მდივანი, ფილოლოგიის

მეცნიერებათა კანდიდატი

მ. რუსთაველი მ. რუსთაველი



ნასესხებ სიტყვათა საკითხი ენათმეცნიერებაში ყოველთვის

წავლელთადა ლექსიკოლოგიის თვალსაზრისით და დაიყვანებოდა ძირითადად ამა თუ იმ ენაში ამ სიტყვათა აღწერა-აღრიცხვამდე და მათი ეტიმოლოგიური რუბრიკის განსაზღვრამდე, რასაც შედეგად მოყვებოდა კონკრეტული ენიდან ნასესხებ სიტყვათა ლექსიკონის შექმნა, რასაც უთუოდ უაღრესად დიდი სარგებლობა მოჰქონდა, ვინაიდან ასეთი საქმიანობის შედეგად წარმოიქმნა მრავალი ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი, რომლებიც შეიცავს კონკრეტულ ენათა შესახებ დეტალურ დიდი მოცულობის ღრმა ენციკლოპედიურ და ენისმიერ ცოდნას. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა დღესაც, თუმცა ენათმეცნიერებაში ჩამოყალიბდა ისეთი კონცეფციებიც, რომლებშიც აღამიანის ენისმიერი ქმედების იმ სფეროებს მიეძღვა ყურადღება, რომლებიც ადრე ან საერთოდ არ მიიღებოდა მხედველობაში, ან სათანადოდ არ შეისწავლებოდა. სწორედ ასეთმა მდგომარეობამ განაპირობა ნასესხებ სიტყვათა ამა თუ იმ ენაში შეღწევის, იქ დამკვიდრებისა და ფუნქციონირების პრაქტიკის ისტორიულ-საფორმალური, ფსიქოლოგიური და ენისმიერი ფაქტორების გამოყოფა-დადგენისა და გაანალიზების აუცილებლობა, რაც ძირითადად შეიძლება ჩამოყალიბდეს როგორც ნასესხებ სიტყვათა, ამ შემთხვევაში, ანალიტიკური ტიპოლოგიური სტატუსის დადგენის ცდა. ასეთი თვალსაზრისი გულისხმობს რამდენიმე ძირითადი ფაქტორის გამოვლენას, რომლებიც შემდეგნაირად წარმოიდგინება: 1) შესახებელი ენის საერთო წონასწორობის მდგომარეობა, 2) მოცემულ ენაზე მოლაპარაკეთა (საერთოდ ან განსაზღვრული ჯგუფის) ფსიქოლოგიური განწყობილება, რაც იგივეა, რაც ცნობიერების მდგომარეობის განსაზღვრა, 3) ნასესხებ ვიდეოლოგიური ფუნქციონირება ენისმიერი ქმედების ნებისმიერ დონეზე, 4) კონკრეტული ენის კონკრეტული და სინქრონიული წონასწორობის ფაქტორიანობა.

Handwritten notes in the left margin, including the number '7/14' and other illegible characters.

ყველა მახასიათებელი ფაქტორი მიიღება მხედველობაში ანალიტიკურ-



მების, ანუ ინგლისური (ამერიკული ვარიანტიც) სიტყვების გიური სტატუსის დასადგენად თანამედროვე ფრანგულ ენაში. სტატუსი განისაზღვრება როგორც მოცემული ნასესხები ელემენტის ადგილი თანამედროვე ფრანგული ენის სისტემაში (ზოგიერთი განმარტებით - როგორც ნეოლოგიზმი). ასეთია მოცემული გამოცვლელის ზოგადი მიზანი, რომელმაც განაპირობა შემდეგი კერძო საკითხების შესწავლის აუცილებლობა.

უხეო სიტყვათა შეღწევა განსაზღვრულ ენაში, ნიშნავს ამ ენობრივი ერთეულის მიერ განსაზღვრული პოზიციის დაკავებას და სათანადო სტატუსის მოპოვებას (ზოგჯერ ნეოლოგიზმისა). ყველა შესაძლო შემდეგი, რაც ამ მოვლენას შეიძლება მოჰყვეს, აუცილებელს ხდის მის შეფასებას და გაანალიზებას განსხვავებული თვალთახედვის პოზიციებიდან.

ენისმიერი თვალსაზრისის პოზიციიდან, უპირველეს ყოვლისა, გასარკვევია, თუ რა პოზიციას დაიჭერს ნასესხები ერთეული ენის ნებისმიერ დონეზე (იგულისხმება ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის და სემანტიკის დონეები). თითოეული დონე თავისებურ პრობლემას წამოაყენებს და მოითხოვს მათ თავისებურად გადაჭრას.

ა) ფონეტიკის დონეზე დგება ნასესხები ერთეულის ბგერითი გაფორმების საკითხი.

ბ) მორფოლოგიის დონეზე დგება ნასესხები ერთეულის გრამატიკული კატეგორიებით გაფორმების საკითხი.

გ) სინტაქსის დონეზე დგება ნასესხები ერთეულის სელექციური მახასიათებლებით აღჭურვის საკითხი.

დ) სემანტიკის დონეზე დგება ნასესხები ერთეულის სემიოლოგიური სტატუსის გარკვევის საკითხი. უპირველეს ყოვლისა, გასარკვევია, როგორი არსი ენიჭება ნასესხებ ერთეულს, მიიჩნევა იგი ნიშნად, თუ

წარმოდგენის სხვა სახეს ენიჭება უპირატესობა.

ე) პრავმატიკის დონეზე ყურადღების ცენტრში ექცევა ის ფსიქო-ლოგიური ფაქტორები, რომლებიც განაპირობებს ნასესხები ერთეულის ფუნქციონირებას, მხოლოდ, აქაც აუცილებელია გარკვეული პოზიციის არჩევა - რომელ ფსიქოლოგიურ კონცეფციაზე დაფუძნებულ ენობრივ თეორიას მივანიჭებთ უპირატესობას: პროცესუალურ სემანტიკას, ფრეიმულ სტრუქტურებს აუ მენტალელების აქტებს.

ეჭვს გარეშეა, რომ ყველა დასახელებული პრობლემის საფუძველს წარმოადგენს ენობრივი ფარდობიანობა, ვინაიდან ნასესხები ერთეულის შესვლა ერთი ენიდან მეორე ენაში მოასწავებს ერთი ენობრივი მსოფლ-მხედველობიდან განსხვავებულ ენობრივ მსოფლმხედველობაში უხეშ შეჭრას, ანუ, როგორც ახლა ძალიან ხშირად ვამბობთ, სამყაროს ერთი ენობრივი სურათიდან (ხატიდან) მეორეში გადასვლას. საინტერესოა, როგორი კრიტიკიზმებით უნდა შეფასდეს ნასესხებ ერთეულთა ფუნქციონირება მიმღებ ენაზე მოლაპარაკე სუბიექტთა მიმართ, როგორი ახალი პარამეტრები და შესაბამისი ტერმინები შეიძლება შემოვიდეს ხმაურებაში საკიანისადმი სინქრონული აუ დიპრონული სისტემების მიდგომის დგალსაზრისით, ვინაიდან ნასესხებ ერთეულთა მიმართ ორივე მოხსენიებული მიდგომა ძირითადად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

დიპრონიაში სიტყვათმარჯი გაწონასწორებული სიმშვიდის მდგომარეობაში იმყოფება, სინქრონიაში იგივე სიტყვათმარჯი მუდმივ მოძრეობაში, არამყარი წონასწორობის მდგომარეობაშია. აქედან გამომდინარე, ჩვენი ძირითადი ენობრივი კონცეფცია შემდეგ დონეებზე დაგდება და იკულისხმება, რომ არჩეული ენობრივი სისტემის გამო-სახატავად მივმარაგო.

ა) გენერაციულ-ტრანსფორმაციულ გრამატიკას ენის ბაზისური კომ-

პონენტის წარმოსადგენად;

- ბ) ბაზისური კომპონენტის შესაბამის მორფოლოგიურ წესებს;
- გ) ლექსიკურ ერთეულთა შევსების წესებს.

ამის შემდეგ, უკვე, უშუალოდ გადავდივარა გარკვეული ნასესხები ენობრივი ერთეულის ტიპის ანალიზზე: ენობრივი ერთეული განიხილება როგორც ნიშანი და მხედველობაში მიიღება აქედან გამომდინარე ყველა შემდეგი, როგორც სემანტიკის, ასევე პრაგმატიკის ავალსაზრისით.

ნასესხები ერთეულის როგორც ენობრივი ნიშნის დადგენის შემდეგი საფეხურია რწმენისა და ცოდნის გამომხატველ წინადადებებში ამ ერთეულთა წინაწინამის საკითხი შესაბამის ფრანგულ ექვივალენტებთან.

და ბოლოს, დადგენილია იმ ფაქტორთა შეფარდებითი სიმრავლე, რომელთა აღრიცხვა ხერხდება ენობრივი მარჯვის განუწყვეტელი მოძრაობის პირობებში.

აქტუალურობა ნაშრომისა მდგომარეობს იმაში, რომ ანგლიციზმებისა და საერთოდ ნასესხებ სიტყვათა პრობლემატიკას ანამედროვე ენამეცნიერებაში ზემოთხსენიებული ავალსაზრისით ჯერ არავინ მიდგომია, რასაც მოწმობს ავით ნაშრომის სათაური და მოხსენიებულ საკითხთა ჩამოთვლა-წამოყენება.

კვლევის მასალად ძირითადად აღებულია 90-ანი წლების ფრანგული პრესა (გაზეთები, ჟურნალები), ვინაიდან აქ ყველაზე მეტად აისახება ენათმეცნიერების ურთიერთობის თანამედროვე მდგომარეობის ქმედითულობა (დინამიკა), რომელიც ზოგადად შეიძლება დავახასიათოთ როგორც მწვანე შუქის, ანუ ღია დერეფნის პოლიტიკა, ვინაიდან ფრანგულ ენაში ყოველდღიურად შემოდის ათობით ინგლისური სიტყვა, რომელიც იქ ფეხს ვერ იკიდებს და ურება.

მასალის წარმოდგენის ჩვენეული პრინციპი ძირითადად იმ ინგლისურ სიტყვათა ლექსიკონში აისახა, სადაც აღწუსებულია ის სიტყვები, რომლებიც ჯერ-ჯერობით დამაგრებულია ფრანგულ ენაში, თუცა მათი

განსაზღვრული რაოდენობა უახლეს ლექსიკონებში ჯერ არ არის აღრიცხული და შესაბამისად, არც მათი ფრანგული განმარტება, არც ენობრივი გაფორმება არ არის მოცემული; ასეთ შემთხვევაში ცვალებადებით ჩვენი განმარტებით.

რაც შეეხება მხატვრულ ლიტერატურას, აქ მდგომარეობა შედარებით ნორმალურია, თუ ავტორი არ არის გატაცებული რაღაც განსაკუთრებული სტილის გამოყენებით თავის ნაწარმოებებში. ყოველ შემთხვევაში ფრანგული სალიტერატურო ენა შორსაა იმ ქაოსიდან, რაც სალაპარაკო ენასა და პრესის ენაში სუფევს.

სიახლე ნაშრომისა შემდეგ დებულებებში აისახა:

1) ნასესხებ სიტყვათა საკითხი პირველად დადგა არა ლექსიკოლოგიური და ლექსიკოგრაფიული თვალსაზრისით, არამედ წამოიჭრა ნასესხებ სიტყვათა ამა თუ იმ ენაში შეღწევის, იქ დამკვიდრებისა და ფუნქციონირების პროცესში ისტორიულ-სოციალური, ფსიქოლოგიური და ენისმიერი ფაქტორების გამოყოფა-დადგენისა და გაანალიზების აუცილებლობა.

2) პირველად, ჩამოთვლილ ფაქტორთა აუცილებლობა ჩამოყალიბდა, როგორც ნასესხებ სიტყვათა, კონკრეტულად, ანგლო-ამერიკანიზმების ტიპოლოგიური სტატუსის დადგენა.

3) პირველად სტატუსი განისაზღვრა, როგორც სიტყვის ტიპის დადგენა და მისი ადგილი თანამედროვე ფრანგული ენის სისტემაში.

4) პირველად დადგა ნასესხები ელემენტის განხილვის საკითხი მთლიანად ენის სისტემის პოზიციიდან, რაც ნიშნავს ამ ელემენტის ფუნქციონირების განსაზღვრას ენის ყველა დონეზე.

გამოკვლევის მეთოდოლოგიური საფუძველი თანამედროვე გენერაციული სემანტიკა და ნიშანთა თეორიაა, რომელთაც საფუძვლად თანამედროვე ლოგიკური სემანტიკის ძირითადი დებულებანი უძევთ. ესენია: „ცნება“, „რწმენისა და ცოდნის გამომხატველი წინადადებანი“, „ინფორმაცია“, „ენათა იერარქია“, „ტიპი“, „სინგულარული ტერმინი“, „ინდექსი“.

რეფერენცია“ და სხვ.

ნაშრომის ანტიკოლოგიური საფუძვლის მოშველიება აისახება მოლაპარაკე სუბიექტთა ცნობიერებაში მიმდინარე პროცესების დაკავშირებაში ნასესხებ ერთეულთა მიმართ: ესენია ერთგვარი სწავლების განპირობებული განზრახვლი მომედება, იძულება და დაჩქარება, მოულოდნელობით გამოწვეული დაბნეულობა და გაოცება; ყველა მომენტის აღწერა, აღბათ, სამომავლოდ შესაძლებელია.

თეორიული ღირებულება ნაშრომისა მდგომარეობს შემდეგში:

1) ნაშრომში გამოკვლეულია თანამედროვე ენობრივი ქმედების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი - ენათა ურთიერთქმედება თანამედროვე სოციო-საკომუნიკაციო პირობებში.

2) ნასესხები ერთეული მიჩნეულია როგორც ინდექსური ნიშანი - საკუთარი სახელი.

3) ნასესხები ერთეული განიხილება ენის ფუნქციონირების მთლიანი სისტემის თვალსაზრისით.

4) ნასესხები ერთეულის ფუნქციონირების შემოწმების კრიტერიუმად მიჩნეულია ენისმიერი ქმედების ძირითადი ფონი - ცოდნისა და რწმენის გამომხატველი წინადადებები.

პრაქტიკული ღირებულება ნაშრომისა, უპირველეს ყოვლისა, აისახება იმ თეორიულ დასაბუთებაში, რაც საფუძვლად უდევს ანგლო-ამერიკანისებების ფრანგულ ლექსიკონს, სახელდობრ:

ა) თეორიული ნაწილი მთლიანად შეიძლება ჩაირთოს ფილოლოგ და კურნალისტ სტუდენტთა სპეცკურსებში.

ბ) ლექსიკონი უადრესად სასარგებლოა როგორც საერთოდ ცოდნის, ასევე პრესის შესახებ პრაქტიკული მეცადინეობისა და სემინარების თვალსაზრისით.

გ) ნაშრომის მთლიანად სახელმძღვანელოდ გადაამუშავება-გამოცე-



მა ფრიად სასარგებლო იქნება ასეთი სახის ნაშრომების დეფიციტის გამო.

დაცვაზე წარმოიდგინება გამოკვლევის შემდეგი ძირითადი დებულებანი:

1) ფრანგულ ენაში ქანგლო-ამერიკანიზმების ექსპანსიის დრამატულობამ, ე.წ. "franglais" - წარმოქმნამ განაპირობა ამ პროცესის ისტორიულ-სოციალური და ფსიქოლოგიური მიზეზების კვლევის აუცილებლობა და ფრანგული ენის ზოგადი სისტემის წარმოდგენა ენის სიცოცხლისუნარიანობის დასადგენად. ამისათვის მომწველიებულ იქნა ენის სტრუქტურის ძირითადი განზომილებანი, როგორც ეს წარმოიდგინება გენერაციული გრამატიკისა და სემანტიკის ფარგლებში.

2) ნასესხები ენობრივი ერთეული უკვე ტერმინალური მწკრივიდან შეიძლება მიჩნეულ იქნეს როგორც ნიშანი, აღმურველი ყველა იმ პარამეტრით, რაც ნიშანს და განიშნიანების პროცესს ახასიათებს.

3) სემიოზისის პროცესი განიხილება მსესხებელი (ფრანგული) ენის პოზიციიდან, ნასესხები სიტყვა განიხილება როგორც დინამიური ინდექსი, ნიშანთა სისტემის აგალსაზრისით, ხოლო როგორც საკუთარი სახელი, სინგულარული ტერმი - ენის სისტემის აგალთახედვიდან.

4) სხვადასხვა საკომუნიკაციო კონტექსტის მიხედვით, ნიშანი ატარებდა როგორც ზემოქმედებს; ამასთანავე, ძირითადია ნასესხები სიტყვა-ნიშნის ინდექსური, რეკლამური ხასიათი და მისი ხმარების თანხლები ფსიქოლოგიური მომენტები.

5) ნასესხები სიტყვა შეიძლება მიეკუთვნებოდეს ნებისმიერი საფეხურის ენას.

6) ინგლისური ენის შინაგანმა გენიამ, რა თქმა უნდა, თანამედროვე სოციალ-ისტორიული სინამდვილის გათვალისწინებით, განაპირობა ინგლისური ენის ესპერანტოსებრი გავრცელება თანამედროვე სამყაროში.



7) ანგლო-ამერიკანოზმების ანბანური ლექსიკონი სრულად იმ ქაოსს, რაც თანამედროვე ფრანგულ ენაში (კერძოდ, პრესაში) სუფევს.

8) ნასესხებ სიტყვათა შესვლა ნებისმიერ ენაში, ენის ახალი ერობულებით გამდიდრების საშუალებაა და თითოეული ენა თვით: წყვეტს, რას დაიტოვებს თავის წიაღში და რას უკუაგდება.

შრომის აპრობაცია-დაცვისათვის წარმოდგენილი თეორიული დებულებანი და პრაქტიკული რეკომენდაციები მრავალჯგის იქნა აპრობირებული ისე ფრანგული ფილოლოგიის კათედრის სხდომებზე და თეორიულ სემინარებზე.

გამოცვევის მოცულობა და სტრუქტურა. სადისერტაციო ნაშრომი წარმოდგენილია მანქანით დაბეჭდილ 146 გვერდზე; იგი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: შესავალი, 3 ნაწილი და დასკვნისაგან. თან ახლავს ლექსიკონი და გამოყენებული ლიტერატურის სია.

ნაშრომის შინაარსი. შესავალში დასაბუთებულია თემის არჩევანი, განსაზღვრულია კვლევის საგანი, თეორიული მნიშვნელობა და ძირითადი მიზანი, ჩამოყალიბებულია თემის აქტუალურობა და ნაშრომის მეცნიერული სიახლე.

I თავში განხილულია "franglais"-ს პრობლემა და მასთან დაკავშირებული საკითხები.

II თავში განხილულია არჩეული ენობრივი სისტემა, შესაბამისი სემანტიკური კონცეფცია და წარმოდგენილია ფრანგული და ინგლისური ენების შედარებითი სურათი.

III თავში განხილულია იმ ნასესხებ სიტყვათა ლექსიკონი, რომლებიც ადრიცხული და გაფორმებულია ფრანგულ ენაში. მოცემულია ამ ლექსიკონის შედგენის გრამატიკული და სემანტიკური პრინციპები.

ამავე თავში აღწესებულია იმ სიტყვათა ლექსიკონი, რომელიც მოძ-



რაობს. ფრანგულ ენაში და ადრესხულია მხოლოდ მეტყველების აქტებში (მის განსხვავებულ ფორმებში).

დასკვნებში განზოგადებულია კვლევის შედეგად მიღებული ძირითადი შედეგები.

XIX საუკუნის ბოლოდან საფრანგეთში მწვავე მსჯელობას საგნად იქცა ეროვნული ენის ბედი. საუკუნის დასაწყისიდან დღემდე, ურადიციული ლიტერატურისა და სალიტერატურო ნორმის მცოდნეთა წრეში ხშირად გაისმის საუბარი ფრანგული ენის კრიზისის შესახებ. ამ საკითხებს მიეძღვნა გერმანელი ენათმეცნიერის ი.კლარეს სტატია, სადაც გაანალიზებულია ფრანგულ ენაში ანგლო-ამერიკულის შეტევის საკითხი და რ.ეტიმბლის წიგნი "Parlez-vous franglais" დასმულ პრობლემათა წრე. ეს გამოკვლევა საუკეთესო წარმოდგენას გვიქმნის იმის შესახებ, თუ როგორ განიხილება თანამედროვე ენათმეცნიერებაში ნასესხებ სიტყვათა საკითხი. საყურადღებოა, აგრეთვე, ფრანგული ეროვნული ენის დღევანდელი მდგომარეობა, სადაც ურთიერთმიმართებაში სალიტერატურო და სალაპარაკო ენას შორის გარკვეულ კრიზისულ მდგომარეობას მიაღწია, რაც ფრანგულ ენაზე განსაკუთრებული ისტორიული ზრუნვის შედეგია. ისეთი ყოველმხრივ ნორმირებული და დახვეწილი ფრანგული ენისათვის დღევანდელი ანგლო-ამერიკული ენობრივი ექსპანსია მუშმარტად დრამატულ მდგომარეობას ქმნის და სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანს წარმოადგენს, რასაც მოწმობს 1994 წ. მაისში მიღებული კანონპროექტი ფრანგული ენის დაცვის თაობაზე.

უცხო სიტყვათა სესხება და მათი დამკვიდრება მსესხებელ ენაში, იმდენად მნიშვნელოვანი მოვლენაა საერთოდ ენის სიცოცხლისუნარიანობის თვალსაზრისით, რომ აუცილებლად ღვება საკითხი ამა თუ იმ ენის ზოგადი სისტემის წარმოდგენისა, რათა ნათელგჳთ, თუ რაოდენ თავისებური მდიანი სტრუქტურაა ენა და როგორ აისახება მასში მის პერიფერიასზე მიმდინარე პროცესები. ენის სტრუქტურის წარმოსადგენად,



მიგმართავთ ისეთ ძირითად ცნებებს, რომლებზე დაყრდნობილია აიკვება ენის ძირითადი განზომილებანი. ესენია: ნიშანი, ცნება, ტერმინი, კონცეპტუალური სისტემები და ბოლოს, ცოდნისა და რწმენის გამოხატველი წინადადებანი.

ნიშანთა საშუალებით გამოხატვა, ანუ განიშნიანება, ნიშნად ქცევა და ნიშანთა გამოყენება ახასიათებს ადამიანის მოქმედების ყველა სფეროს. ადამიანი ნიშნებს იყენებს გონისმიერი განსჯის, ინტუიციურ-მჭვრეტელობითი, მხატვრულ-შემოქმედებითი თუ პრაქტიკული ქმედების დროს. ნიშანთა სისტემების კვლევა გულისხმობს ნიშნის რაობის დადგენას და განსაზღვრვას, ნიშანთა კლასებად და იერარქიის პრინციპით დალაგებას, ნიშანთა სისტემების წარმოდგენა-რეპრეზენტირებას და ამ სისტემათა მოქმედების წესების აღმოჩენა-ჩამოყალიბებას.

ნიშანთა სისტემებს ყოველ დროში შეუწევლებელი ინტერესით იკვლევდნენ მრავალრიცხოვანი და სრულიად განსხვავებული მეცნიერული და ხელოვნების დოქტრინათა მიმდევარნი: ფილოსოფოსები, ლოგიკოსები, ლინგვისტები, მათემატიკოსები, ხელოვანნი. ნიშანთა სისტემის შესახებ არსებული უზარმაზარი ლიტერატურა მოიცავს ნიშანთა არსისა და გამოყენების განზომილებათა კანონზომიერების მრავალრიცხოვან განსაზღვრვას. ამის გამო, უშედეგოა ვეძებოდ რაღაც საბოლოო და ყოვლისშემძველი განსაზღვრება ნიშანთა სისტემების მდგომარეობისა და მათი მოქმედების წესთა შესახებ.

ჩ.ს.პირსი სემიოტიკის, ანუ ნიშანთა ზოგადი თეორიის, ფუძემდებელია. მან ღიდად შეუწყო ხელი მიმართებათა შესახებ ლოგიკურ-მათემატიკური კონცეფციის განვითარებასა და ჩამოყალიბებას. ჩვენი აზრთა ჭეშმარიტება მოწმდება პრაქტიკის საშუალებით - ასეთია პირსის პრაგმატიზმის ძირითადი დებულება. ჩ.პირსის თეორიამ უზარმაზარი გავლენა მოახდინა თანამედროვე ლოგიკურ-სემანტიკურ და ფილოსოფიურ აზროვნებაზე.



რ.პირსის სემიოტიკურ კონცეფცია მიზნად ისახავდა განსხვავებული ბული თვალსაზრისით შეესწავლა ნიშანთა მოქმედების ყოველი ღონე. თავდაპირველად რ.პირსი მიისწრაფოდა შეექმნა ნიშანთა ლოგოკა და სემიოტიკას ლოგოკასთან აიგივებდა; მოგვიანებით, პირსის კონცეფცია პრაგმატიზმისაკენ იხრებოდა, რითაც აიხსნება ინტერპრეტანტთა შემდგომი კლასიფიკაცია და ახალი სემიოტიკური დისციპლინის „პრაგმატიზმის“ წარმოქმნა. რ.პირსმა შექმნა თანამედროვე სემიოტიკისა და პრაგმატიზმის (განიშნაინების პროცესის ყოველ ღონეზე) ძირითადი დებულებანი. მან პირველმა შენიშნა მნიშვნელობის მრავალგვარობა და დაუკავშირა იგი განიშნაინების პროცესის სხვადასხვა საფეხურებს. პირსმა პირველმა აღნიშნა ნიშანთა წარმოქმნის პროცესის უსასრულობა და წინასწარ განსაზღვრა მნიშვნელობის ცვალებადობის მრავალსახეობის თანამედროვე თეორიები. ერთი ცნების ფარგლებში მოქმედი ხატადქცევის (იკონიზირების) პროცესი განსაზღვრავს ნიშნის მეტაფორულ ფუნქციას. გარდა ამისა, ნიშნის ფუნქციონირებას რ.პირსმა შეუერთა ინფორმაციის ცნება. ინტერპრეტანტისა და ინტერპრეტატორის, ქვანტორთა და ინდექსთა ცნებები გადაამწყვეტი შეიქმნა პრაგმატიკისადვის. ინტერპრეტანტთა კლასიფიკაციამ საფუძველი ჩაუყარა ენის ადამიანის ქცევაზე გავლენის კვლევას. რ.პირსმა პირველმა დაუკავშირა ინტერპრეტანტისა და მოდელის ცნებები ადამიანის ცოდნას და იწინასწარმეტყველა შესაძლო სამყაროთა სემანტიკის წარმოქმნა შესაძლებლობათა პორიზონტისა და სამყაროზე შიდათების აუცილებლობის აღმოჩენის საფუძველზე.

გაძნობდა რა მნიშვნელობის არაერთგვაროვნებას, რ.პირსი ანაწევრებს მას და უკავშირებს ნიშნადქცევის სხვადასხვა ღონებს. თვით ნიშნადქცევა ერთი ნიშნის განსხვავებულ ნიშნად ქცევის უსასრულო მომავლისაკენ მიმართულ პროცესად აღიქმება. ვინაიდან პირსი



ნიშნის მინიშვნელობას ინტერპრეტანტას უკავშირებს, ამდენად ნიშნის ინტერპრეტანტაც მომავალს ეკუთვნის.

ჩ. პირსის ზოგადი თეორია, ინტერპრეტაციისა და ინტერპრეტანტის ცნება, დაედო საფუძვლად დამოუკიდებელ სემიოტიკურ დისციპლინას, პრაგმატიკას. ამგვარად, სემიოტიკა, რომელსაც პირსი ლოგიკასთან აიგივებდა, უფრო განზოგადდა. ნიშნის ზემოქმედება ინტერპრეტატორის ცნობიერებაზე ორგვარად განიხილება: როგორც ცოდნა და როგორც ფიზიკური ზემოქმედება.

ბ. ფრებე: ფუნქციურ-ფორმალურ ენობრივი სისტემის შემუშავებასთან ერთად, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ნიშნის არსის დადგენას, რის გარეშეც მას შეუძლებლად მიაჩნდა კონცეპტუალური აზროვნება. ნიშანი აღნიშნავს განსხვავებულ, მატერიალ, ამავდროულად, ერთგვარად ერთმანეთის მსგავს საგნებს, ე.ი. მიუთითებს არა ცალკეულ, ერთეულ საგნებზე, არამედ იმაზე, რაც საერთოა მათ შორის, ე.ი. იგი ცნებას აღნიშნავს.

ნიშანს (სახელს, სიტყვათა ჯგუფს, ასოთა სიმრავლეს), გარდა იმისა, რომ იგი აღნიშნავს, და, რასაც შეიძლება დენოტაცია (აღნიშვნა) ვუწოდოთ, გააჩნია აგრეთვე მნიშვნელობა, რომელშიც გადმოცემულია, თუ როგორ წარმოიდგინება საგანი. სახელსა და ნიშანს შორის არსებული მიმართება საგნის აღნიშვნის ნებისმიერ ხერხთა სიმრავლეს შეიცავს. აღნიშვნის, ანუ დენოტაციის ცოდნა მოასწავებს ყოველი მნიშვნელობის არჩევას შესაბამისი აღნიშვნისათვის. ბუნებრივი კაცობრივი ნიშანს, მნიშვნელობასა და აღნიშვნას შორის იმგვარია, რომ ნიშანს ძველსაბამება განსაზღვრული მნიშვნელობა, ხოლო ამ უკანასკნელს - განსაზღვრული დენოტაცია; თავის მხრივ, ერთი დენოტაცია (ერთი საგანი, ობიექტი) შესაძლოა ერთზე მეტ ნიშანს შეესაბამებოდეს. ერთი და იგივე მნიშვნელობა არა მარტო სხვადა-



სხვა, არამედ, ზოგჯერ, ერთ ენაშიც კი სხვადასხვანაირად გადმოიკმ-  
მა. ნიშანთა თანამედროვე სისტემაში, ერთი მნიშვნელობა უნდა შეესა-  
ბამებოდეს ერთ გამობატლებას, რაც ბუნებრივ ენაში განუხორციელე-  
ბელია.

საკუთარი სახელის დენოტაციას თვით საგანი წარმოადგენს. იგი, საკუთარი სახელი, გამობატავს თავის მნიშვნელობას და აღნიშნავს საკუთარ დენოტაციას. ნიშანი გამობატავს საკუთარი სახელის მნიშვნე-  
ლობას და აღნიშნავს მის დენოტაციას. ნიშანს განსხვავებული მნიშ-  
ვნელობა და დენოტაცია გააჩნია პირდაპირ და ირიბ კონტექსტში.

გ. ფრეგეს ფუნქციური ენა საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ კონცეპ-  
ტთა საფეხურები იერარქიის მიხედვით; ამ მომენტის გათვალისწინება  
აუცილებელია, ვინაიდან ნასესხები სიტყვები მხოლოდ I საფეხურის  
ენას (საგანთა ენას) რადი მიეკუთვნება; როგორც კი წარმოიქმნება  
საჭიროება, ენის მარაგი მამინევე შეიცვება შესაბამისი განყენებული  
კონცეპტებით ან საკუთარი შემოქმედების ან ნასესხები სახელის ხარჯზე.

ჩ. შორისის მიერ შემუშავებული ნიშანთა ზოგადი თეორია ძირითადად  
ბიჰევიორიზმის დებულებებიდან მომდინარეობს. იგი სამ განზომილება-  
შია წარმოდგენილი. ესენია - სინტაქსი, სემანტიკა და პრაგმატიკა.  
სემანტიკური განზომილება ასახავს ნიშანთა და საგანთა შორის მიმარ-  
თებას და შეისწავლის მათ. ნიშანთა ურთიერთდამოკიდებულება სინტაქ-  
სურ განზომილებაში აისახება და სინტაქსის მიერვე შეისწავლება, ხო-  
ლო ინტერპრეტატორთა (მოლაპარაკე სუბიექტთა) დამოკიდებულება ნიშ-  
ნებთან პრაგმატული განზომილების საგანთა და მას პრაგმატიკა შეის-  
წავლის. ამგვარად, სამივე განზომილებას საკუთარი საგანი, ლექსი-  
კონი და მეტა-ენა გააჩნია.

გამოიყოფა ნიშანთა სამი სახე: ინდექსური, მახასიათებელი და  
უნივერსალური.

ინდექსური ნიშნები ინტერპრეტატორის ყურადღებას მიაქცევს და-  
ნაწევრებულ გარემოზე, მახასიათებელი ნიშანი-დენოტატი განაპირო-  
ბებს ერთგვარ ზოგად რეაქციას (მოლოდინს) გარემოს ამ ნაწილთა მი-  
მართ, ხოლო მახასიათებელი სპეციფიკატორები განსაზღვრავენ ჭოგადი  
მოლოდინის ზღვრებს; ყოველივეს ერთად განსაზღვრავს ის ამოცანა,  
რომელიც ინტერპრეტატორმა უნდა გადაწყვიტოს და რომელიც უნდა ჩამო-  
ყალიბდეს მსჯელობის სახით, რასაც სინტაქსში შეესაბამება წინადა-  
დება, ხოლო სემანტიკაში პროპოზიცია.

ჩ.მორისი ბიჰევიორისტი იყო და ამიტომ მრავალი კატეგორია სწო-  
რედ დასახელებული მიმდინარეობის ტერმინებით განისაზღვრება. ასე-  
თია, მაგალითად, რეაქციის, ანუ მოლოდინის საფუძველზე გამონათქვა-  
მის გრემარტიკების განსაზღვრა და რაც მთავარია, თვით ნიშნის მნიშ-  
ვნელობის განსაზღვრა. ამგვარად, სწორედ ბიჰევიორიზმის ავალსაზრი-  
სიდან გამომდინარე, ნიშნები სამგანზომილებიანია და უკავშირდებიან  
ქცევის სამ სახეობას - ადგმას, მანიპულაციას და დასრულებას. ნი-  
შანი აღმნიშვნელია ანუ დესიგნაციური, თუ იგი აღნიშნავს საგნის ან  
გარემოს ავალსაზრის თვისებებს, შემთავსებელი - თუ იგი აღნიშნავს  
საგნის ან სიტუაციის საბოლოო თვისებებს და განმანაწილებელი, თუ  
იგი მიუთითებს, თუ როგორ უნდა იმოქმედო სიტუაციაზე, რომ დააკმა-  
ყოფილო წარმმართველი იმპულსი.

ნიშნები, ფლობენ რა მხოლოდ მათთვის დამახასიათებელ თვისებებს  
(მასტიმულირებელი, გაიძლიერებელი, ხელისშემწყობნი), სხვადა-  
სხვა კონტექსტის მიხედვით სხვადასხვა მნიშვნელობას იძენს, შესაძ-  
ლოა მნიშვნელობათა დამთხვევა, ანუ თანაკვეთა. ყოველი ნიშანი გა-  
მოხატავს თავის ინტერპრეტაციას და ინტერპრეტატორიც აღიარებს მას,  
როგორც ასეთს.



ნიშნის გამოხატველობითი უნარისა და ემოციური ზემოქმედების გაერთიანება არ არის მიზანშეწონილი და ამ ორი მომენტის განსასახეველად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული იგივე ობიექტის ზეგავლენა მონაპარაკე სუბიექტზე; შეიძლება ითვას, რომ ასეთი ზეგავლენის მოხდენა განსაკუთრებული გამოხატველობითი უნარის მქონე ნიშნებს ძალუძს. ნიშანთა ხმარება და გამოყენება ხშირად გაიგივებულია ერთმანეთთან.

პრაგმატიკის საგანი ნიშანთა წარმოქმნა, ზემოქმედება და გამოყენებაა. გამოყენების ოთხი სახე არსებობს: ინფორმაციული, შემფასებლობითი, ბრძანებითი და სისტემური. დესიგნაციური ნიშნები იხმარება ინფორმაციულად, შემფასებლნი - შეფასებლად, განმრიგებელი - ბრძანებით-იძულებითად, ხოლო ფორმალური ნიშნები - სისტემურად.

ნიშანთა წარმოქმნის, მათი მნიშვნელობისა და გამოყენების მთელი პროცესი, მისი ყოველი საფეხური შეიცავს პრაგმატულ კომპონენტს, რომელიც ჩანსახება სინტაქსში, ვითარდება სემანტიკაში და საბოლოო სახეს იძენს პრაგმატიკაში. ენა, ამ სიტყვის სრული სემიოტიკური გაგებით, წარმოადგენს ნიშნისმიერ საშუალებათა ნებისმიერ სიმრავლეს, რომელთა ხმარება განპირობებულია სინტაქსური, სემანტიკური და პრაგმატული წესებით. ენა - ნიშანთა სოციალური სისტემაა, რომლის საშუალებითაც გამოიხატება კოლექტივის წევრთა რეაქცია ურთიერთთან და გარე სამყაროსთან. ენის გაგება და მისი სწორად ხმარება მოასწავებს მოწყვეტ ხმარების (სინტაქსურ, სემანტიკური და პრაგმატული) წესებს, რომლებიც მიღებულია ადამიანთა მოცემულ ერთიანობაში.

ენობრივ ნიშანს უნდა შესწევდეს უნარი, რომ განზრახ, მიზანდასახულად იქნას გამოყენებული კომუნიკაციის აქტის დროს, ნიშანთა დამოკიდებული მიზნის გაცნობიერება ამ ნიშნის ხმარების ტოლფასია და გულისხმობს ამ ხმარებიდან გამომდინარე შედეგთა გააზრებას მეტ-



ყველების აქტის მონაწილეა მხრიდან. ნიშანთა ხმარება განპირობებულია ბუღალტრული და ბიოლოგიური ფაქტორებით.

ნიშანთა გამოყოფილი კლასები განსხვავებულად განაპირობებენ მოლოდინის სხვადასხვა ჩარისს, უმცირესიდან რეფერენციის სიზუსტის უმაღლეს ჩარისხამდე.

სემიოზისის ქვეფესმეორი ფორმულირება ნიშნისმიერი ქვევის ობიექტური შესწავლისას საშუალებას იძლევა შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: ეს არის ხუთწერა მიმართება: V - ნიშანი, W - ინტერპრეტატორი, X - ინტერპრეტანტა, Y - მნიშვნელობა (სიგნიფიკატი), Z - კონტექსტი. V იწვევს W-ში განსაზღვრული რეაქციისადმი (X) განწყობას განსაზღვრული ობიექტის (Y) მიმართ გარკვეულ Z პირობებში.

პრაგმატიკის თვალსაზრისით ენის სტრუქტურა არის ქვევათა სისტემა, სადაც ყველა კომპონენტი პრაგმატულ განზომილებაში წარმოგვიდგება.

სემიოზისის, ანუ ნიშნადქვევის. (განიშნაინების) პროცესი უშუალოდაა დაკავშირებული მოქმედების ზოგად სამ პრინციპთან: ინტერპრეტატორის მიერ ინფორმაციის შეკრება, ობიექტის არჩევა და მასზე კონკრეტული ქვევათა შემოქმედება.

რაც შეეხება მიმართებას ენასა და სინამდვილეს შორის, ჩ. შორის დასაშვებად მიიჩნია მხოლოდ კორელაციური მიმართება სინამდვილესა და სემიოზისის სამ განზომილებას შორის.

ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ ნასესხები ენობრივი ერთეული სოკრავა-ნიშანთა და მის მიმართ ვათვალისწინებულ უნდა იქნას ყველა ის პარამეტრი, რაც ნიშანს და განიშნაინებას ახასიათებს, მხოლოდ არა ძირითადი, არამედ მსესხებელი ენის პოზიციებიდან; ამდენად, ყველა მოხსენიებული ფაქტორი ურთავარაუდ გადამწყობა და აქცენტები სხვა-ნაირად განაწილდება, ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა მოცემულ ენაში



კონკრეტული სიტყვის „კაუზალური“ ისტორია იქმნება, რა დემა უნდა, ასეთი პროცესი, ანუ საგნის მიმართება ნიშნისადმი, მსესხებელ ენა-შიც მოქმედებს, მაგრამ არა არსებულ საგანთა სიმრავლის საფუძველზე, არამედ ასეთი სახელი ონტოლოგიაში შემოსულ საგანს მოჰყვება. ამდენად, ეს ნიშანი დესიგნატიურია, ანუ აღმნიშვნელი და გააჩნია მნიშვნელობა, გამობატული დესკრიფციით ან საკუთარი სახელით.

ამ საფუძვლზე არ არის გამორიცხული შემოსული საგნის სახელდება, ანუ სახელის დარქმევა მსესხებელი ენის საფუძველზე, რის შედეგადაც მიიღება დეფინიცია-დესკრიფცია.

სწორედ სახელდების პროცესია განსაკუთრებით საყურადღებო ნასესხებ სიტყვათა მიმართ, ვინაიდან ნიშნის მიმართების დამყარებისას მის ინტერპრეტატორთან, ანუ ნიშნის მხმარებელთან, სწორედ მეორე ტრი-ქოტომია, ანუ ნიშნის მიმართება საგნისადმი იძენს განსაკუთრებულ ძალას.

ვინაიდან კომუნიკაცია მოლაპარაკე სუბიექტის მიერ ნიშანთა სა-შუალებით ხორციელდება, ასეთ აქტს ყოველთვის თან სდევს ერაგვარი რწმენა-იძულების მომენტი, რაც საჭიროებს და დამახასიათებელიც არის დინამიური ნიშნისათვის; კონცეპტი, ანუ საგნის ხატი, ასეთ დინამიკას არ ფლობს. დინამიური ნიშანი ინდექსია, რომელიც მოლაპარაკე სუბიექტის ყურადღებას რეალურად არსებულ საგნებზე მიაქცევს.

როგორი სახითაც არ უნდა მიმდინარეობდეს კომუნიკაციის პროცესი, ანუ როგორი სახეც არ უნდა ჰქონდეს ამ პროცესის პრაგმატულ გარემოს, ინდექსური ენობრივი ნიშანი განზრახ, მიზანდასახულად გამოიყენება.

მოლაპარაკე სუბიექტის მხრივ ენობრივი ნიშანი, ამ შემთხვევაში ნასესხები სიტყვა, სწორედ ინდექსური, დინამიური მიზანდასახულობით გამოიყენება და მას სდევს იძულება-დარწმუნების, ყურადღების მიქცევა-წეისის მომენტი, არ არის გამორიცხული თანემოწონება-სნობიზმის მომენტი.

Handwritten notes: F, 3, 7/1/24

Handwritten mark: a bracket-like symbol



მსენელის მხრივ ნასესხები სიტყვა-ინდექსის ხმარებას ან

სადგეს შეცბუნება-დაფიქრების მომენტი; მან ან იცის ან არა მოცემული სიტყვის მნიშვნელობა და საპასუხო რეაქციაც შესაბამისია, რაც გამოიხატება ან სრული გაგებით, ან დაბნეულობით და კომუნიკაციის შეწყვეტით.

კომუნიკაციის აქტის ხასიათის მიხედვით დასაშვებია ნიშნის არაერთგვაროვანი ზემოქმედება და მისი სხვადასხვა მნიშვნელობის ხაზგასმა, ზოგიერთ სიტუაციაში შეიძლება სტარბოხდეს ინფორმაციულობა, ზოგ შემთხვევაში შემფასებლობა და ა.შ. მაგრამ, როგორც მნიშვნელობაც არ უნდა ახლდეს ნასესხებ ნიშანს, მასში მაინც ძირითადად ინდექსური, რეკლამური მხარე უნდა ვაღიაროთ. ყოველივე ზემოქმედლებებმა ენის სინქრონიულ განზომილებას, ვინაიდან პრაგმატული სცენარები ძირითადად აქ თამაშდება.

ნასესხები სიტყვის ხმარება ძირითადად პრაგმატული განზომილებით განისაზღვრება და იგი მოლაპარაკე სუბიექტის ცოდნიდან მომდინარეობს. სუბიექტი, ცხადია, ფლობს განსაზღვრულ ცნებათა სისტემას, ანუ ინფორმაციას, მოცემული (ფართო გაგებით იგულისხმება, როგორც უშუალოდ მოლაპარაკის მიერ ხილულად, ასევე სხვადასხვა განზომილებით წარმოდგენილი) სამყაროს შესახებ. ცნება სიტყვიერად გვევლინება როგორც განსაზღვრული ფესკრიფცია, ან საკუთარი სახელი და შეადგენს მოცემული ენის ცნებათა სისტემის განუყოფელ ნაწილს. ცნება სინგულარული (ერთეული) ტერმინის მნიშვნელობას გამოხატავს, გამოყოფს საგანს საგანთა უნივერსუმში და წარმოადგენს მას. ცნების საშუალებით ამოცნობა საგანი და დგინდება მისი რაობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ცნება შეადგენს მოცემული ენის ცნებათა სისტემის ნაწილს. ცნებასა, საგანსა და ცნებათა სისტემას შორის მემორტემა ფუნქციონალურია და შემოსაზღვრება ცნების განსაზღვრის არის, ინტენსივისა და ექსტენსიის ფარგლებით.



მოლაპარაკე სუბიექტის მიერ მნიშვნელობის ცოდნა ნიშნავს მხოლოდ მთელი ინფორმაციის ათვისებასთან დაკავშირებულ პრობლემათა რიგში ძალდაუტანებლად გარკვევას, რაც გულისხმობს გამონათქვამთა გეშამარტების ღირებულების დასადგენ ცოდნას და მოცემულ გამონათქვამთა სიმრავლით თავისუფად მანიპულირებას.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით ინდექსალები ისეთი გამოთქმებია, რომლებიც უშუალოდ მიუთითებს საგანზე, ყოველგვარი ინტენსიონალური შუამავლის გარეშე.

საინტერესოა ამ მხრივ რ. აავილიონისის შეხედულება, რომელიც შესადღოა ყველაზე მისადები იყოს ინდექსაღოა არსის გარკვევასთან დაკავშირებით. ამ ავტორის მიხედვით, ინდექსაღური გამოთქმები („ეს არის F“) ნამდვილად ჭღობს ჩვენებით ფუნქციას. ასეთი და მისი მსგავსი გამოთქმები ნამდვილად ემსახურება სუბიექტის მიერ საგნის გამოყოფას, სწორედ ამ სუბიექტის აღქმის საგნად. გამოყოფა კი უკვე ნიშნავს ობიექტის დახასიათებას. საერთოდ, ენის ცოდნა მოასწავებს ენაში მიღებული ნომენკლატურის თანადობაში მოყვანას სუბიექტის მიერ დაწარწერებულ სამყაროსთან, რაც ნიშნავს კონკრეტული ენის ცნებათა სისტემაში განსაზღვრული კონცეპტუაღური სტრუქტურების აგებას ენის მეშვეობით. ასეთ ქმედებას საფუძვლად უდევს ე.წ. „მანიპულაციური“ ფუნქცია, რომლის საბოლოო შედეგია ინდივიდუაღურ კონცეპტუაღურ სქემათა განზოგადება. ინდექსაღის საშუალებით მითითება მოასწავებს როგორც „ინდექსური“, ასევე განსაზღვრული დესკრიფციული მნიშვნელობის აგებას მითითებული საგნის მიმართ.

დესკრიფცია, რომლის პრედიკატია საზოგადო სახედი და რომელშიც შეიძლება შედიღოდეს საკუთარი სახედი ან ინდექსაღი, თავისთავად შეიცავს ინდექსურ ეღემენს. არ არის სავალდებულო, რომ დესკრიფცია მერმნიშვნეღობნად, ცადსახად განსაზღვროს საგანი. იგი ძირითადად აფიქსირებს გარკვეული სახით განსაზღვრულ ობიექტს.



დესკრიფციის ხმარების კონტექსტს და მოლაპარაკე სუბიექტებს შესწორებანი შეეძენთ კომუნიკაციურ სიტუაციაში და ხელს უწყობენ მი-  
თითების ეფექტურად განხორციელებას.

ამგვარად, ენისმიერ გამონათქვამები, მათი სემანტიკა, ინტერ-  
პრეტატორები და მათი ფუნქციონირების პრაგმატული კონტექსტი წარმო-  
ადგენს ობიექტის ეფექტურად მიითითებასა და ამოცნობის, ე.ი. არა-  
ადექვატური დესკრიფციის უკუგაღებვის აუცილებელ პარამეტრებს.

განსხვავება მოლაპარაკეს რეფერენციასა და სემანტიკურ რეფერენ-  
ციას შორის კრძკემ შემოიღო სემანტიკაში. „სემანტიკური რეფერენცია“  
მოლაპარაკის მიერ წარმოთქმული გამონათქვამის მნიშვნელობას გამო-  
ხატავს.

„მოლაპარაკის რეფერენცია“ მოიცავს მოლაპარაკის განზრახვას და  
ხმარების კონტექსტთა სხვადასხვა პარამეტრთა სიმრავლეს. ამ შემთ-  
ხვევაში მოლაპარაკეს განზრახვას, სურს ლაპარაკის განსაზღვრულ  
ობიექტზე, რომელც მას, ამავდროულად, მის მიერ გამოყენებულ ენის-  
მიერ გამონათქვამის სემანტიკურ რეფერენტადაც წარმოუდგენია. არაადექ-  
ვატური დესკრიფციის გამოყენების შემთხვევაში, ობიექტისადმი რეფე-  
რირების მიზნით, მოლაპარაკე სუბიექტი, იცის რა შესაძლო კონტექსტთა  
ზღვარი და მოცულობა, ასწორებს თავის შეცდომას და აყალიბებს ახალ,  
წარმატებულ პრედიკაციას. როცა საკომუნიკაციო აქტი შედგება და ხორ-  
ციელდება, სემანტიკური რეფერენცია ემთხვევა მოლაპარაკეს რეფერენ-  
ციას. ს.კრძკეს მხედველობიდან გამორჩა ეს არ ნიშნავს სათანადო  
ყურადღება იმ ფაქტს, რომ ობიექტთა მიმართ რეფერენცია და მათი ინ-  
ტერპრეტაცია უნდა ემყარებოდეს განსაზღვრულ კონტექსტუალურ სისტემა-  
თაგან მომდინარე მნიშვნელობას და მოლაპარაკე სუბიექტის მიერ ამ  
ცოდნის ფლობას.

მოლაპარაკე სუბიექტის მიერ ობიექტის ამოცნობა და განსაზღვრა

ხდება იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც ნაწილია განსაზღვრული კონცეპტუალური სისტემისა და რომლის შესახებ ცოდნას ფლობს მოცემულ ენაზე მოლაპარაკე სუბიექტი. მოლაპარაკე სუბიექტის ხელე მყოფი ინფორმაცია ობიექტთა კონცეპტების შესახებ ყალიბდება როგორც სუბიექტის ცოდნა ან აზრი ამ ობიექტთა შესახებ.

ენობრივი ნიშნის არსიდან გამომდინარე, როცა ნიშანთა სისტემიდან ენის სისტემაზე გადავდივართ, ნასესხები სიტყვის უბი შეიძლება მიჩნეულ იქნას საკუთარ სახელად, ან ერთეულ, სინგულარულ ტერმინად, რაც ოპტიმალურად შეესაბამება მის ინდექსურ ხასიათს, ცინიდან ამ შემთხვევაში ინდივიდუალური კონცეპტის ექსტენსია (ზღვარი) შეზღუდული იქნება.

ერთი ენიდან მეორეში გადასვლა მოასწავებს სამყაროს შესახებ კოდის შეცვლას. სამყარო ადამიანთათვის ერთია, მაგრამ ადამიანები სხვადასხვანაირად ანაწევრებენ მას, ე.ი. განსხვავებულ მიმართებაში იმყოფებიან სამყაროსთან და სხვადასხვა ენებით გამოხატავენ სამყაროსადმი ამ მიმართებას. ადამიანთა შორის ურთიერთობის საფუძველს წარმოადგენს ერთიანი კონცეპტუალური სისტემები, რომლებიც დგინდება ადამიანის მეტსიერებაში, ყალიბდება და შედგენდება როგორც რწმენა და ცოდნა. ასეთი წინადადებები აერთიანებს ყველა იმ პრობლემას, რომელიც ეხება მნიშვნელობას, ენისა და სამყაროს დამოკიდებულებას და გამოთქმათა გააზრებას. რწმენის გამომხატველ წინადადებებში გამოცემულია მოლაპარაკე სუბიექტის აზრი, შეხედულება ამა თუ იმ საგნის ან მოვლენის შესახებ. რწმენა - ეს არის ყალბი ან ჭეშმარიტი ინფორმაცია რეალურ ან შესაძლო სამყაროს შესახებ. რწმენის გააზრებას ხატველი წინადადებების ანალიზი გულისხმობს რწმენასა და სუბიექტურ და ობიექტურ ცოდნას შორის ურთიერთდამოკიდებულების გარკვევას, მნიშვნელობის წარმოქმნის, შექმნების და გაგების პროცესებს შორის ურ-



თიერთმიმართების დადგენას და ენის როლის შესწავლას „სამყაროს რათის“ აგებისას. რწმენის გამომხატველი წინადადება ტოლფასია: „ეფექტობ, რომ...“, „იგულისხმება, რომ...“, „ვარაუდობენ, რომ...“.

ცოდნის გამომხატველი სუბიექტური წინადადება ტოლფასია: „ცნობილია, რომ (წინადადება) ტეშმარტია“.

როგორც რწმენის, ასევე ცოდნის გამომხატველ წინადადებებში, მოლაპარაკე სუბიექტის ყოვლისმცოდნეობა შეზღუდულია როგორც ზედაპირული, ასევე სიღრმისეული ინფორმაციის ზღვარის მეშვეობით. ასეთი ინფორმაცია გულისხმობს ენის მიერ და არაენის მიერ ცოდნის გათვალისწინებას მოლაპარაკე სუბიექტთა მიერ.

ასეთი ცოდნით აღჭურვილი მოლაპარაკე, კომპეტენტური სუბიექტი, აუცილებელი პირობაა ენის სემანტიკის როგორც აგების, ასევე მისი რეალიზაციისა და საერთოდ ენის გამოყენების თვალსაზრისით, როგორც აგების, ანუ ინტერპრეტაციის, ასევე კომუნიკაციის სფეროში.

ამგვარად, ნასესხებ სიტყვათა საკითხი ბევრად უფრო რთულია, ვიდრე ეს პირველი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. ნასესხები ერთეული უცხოა ამ ენის კონცეპტუალური სისტემისათვის, ვინაიდან თითოეულ კონცეპტს აქვს წარმოშობის ისტორია, რაც ქმნის ე.წ. ისტორიულ ჯაჭვს (ს.კრიპკე) და აქცევს სინჯულარულ ტერმინებს და ზოგიერთ ზოგად სახელს „მიკაცრ დესიგნატორად“, რომელიც არ იცვლება არცერთ შესაძლო კონტექსტში. მოლაპარაკე სუბიექტმა იცის უცხო სიტყვის ხმარებით რომ არღვევს ამ კანონზომიერებას. მაგრამ, მეორის მხრივ, ენის ხმარების პრინციპიდან გამომდინარე და სამყაროს შესახებ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მოლაპარაკე სუბიექტი თამამად, უხვად და ერთგვარი თავისმოწონებით ხმარობს უცხო სიტყვას. სამყაროს შესახებ ინფორმაცია გულისხმობს მოცემული საგნის შემოსვლის გზას, მის სახელს უცხო ენაზე და იმ ეფექტს, რასაც ამ სიტყვის ხმარება გამოიწვევს





მშობლიურ ენაზე. ეს მაშინ, როცა საკმე ეხება კომპიუტერულ სისტემებში  
 ექტს; სხვა შემთხვევაში, უცხო სიტყვის ხმარება უბრალო მიზანდა  
 ან ენის დანაგვიანებად შეიძლება ჩაითვალოს.

სინქრონიის დონეზე უცხო სიტყვა იშვიათად ან სულ არ ირთვება  
 ენის სემანტიკაში და არ ფორმდება შესაბამისი გრამატიკული მახასი-  
 ათებლებით. იმ შემთხვევაშიც კი, როცა კონკრეტული ენის შესაბამისი  
 ინსტიტუტები ცდილობს უცხო სიტყვა კონკრეტული ენის ფარგლებში მოაქ-  
 ციოს, მაშინაც კი იშვიათად მიიღწევა სასურველი შედეგი, ყოველ შემ-  
 თხვევაში ერთი თაობის მანძილზე. ამ დროს ღებება სინონიმა იგივე-  
 თობის საკითხი ისე, რომ არ დაირღვეს წინადადების გააზრება და შე-  
 საბამისად მისი ჭეშმარიტების ღირებულება. თუმცა ასეთ მკაცრ შევა-  
 სებას ეს წინადადებანი მოლაპარაკეთა მხრიდან არ ღებულობს, უმეტეს  
 შემთხვევაში, ასეთი ხმარება ვაუცნობიერებლად მიმდინარეობს და კონ-  
 ტექსტთა „გაუმჟღავნაობა“, ანუ წინადადების ჭეშმარიტების ღარღვე-  
 ვა მხოლოდ სპეციალისტთა მსჯელობის საგანია.

ერთი ენიდან სხვა ენაში ერთეულთა გადასვლის ჭაქეი, აღბათ,  
 უნდა დაუყავშირდეს ენობრივი ფარდობითობის, ანუ ენათშორისი შესა-  
 ბამისობის, უფრო კონკრეტულად, ენათშორისი სინონიმიის ცნებას. რა-  
 ღაც თვალსაზრისით, საცარაულოა, ბესტი დეფინიციის დასადგენად, აარ-  
 გმანის ღებულებათა მოშველიებაც. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა  
 ნასესხებ ერთეულს აქვს ტენდენცია ენაში დამკვიდრდეს, ღექსიკონში  
 შესაბამისი დეფინიციით აღინუსხოს, თუმცა, არა ყოველთვის მოცემული  
 ენისათვის ღამახასიათებელ ღონერტიკური და გრამატიკული გაჯორმებით.

თუ ვაგიოფალისწინებთ ყველა შესაძლო მომენტს, შეიძლება გამოე-  
 ყოთ შემდეგი საკითხები:

1. რატომ შემოდის ენაში ახალი ცვლადი, თუ მოცემულ ენას  
 გააჩნია სახელი იმ საგნისათვის, რომელიც არსებობს ამ ენის სამყაროში.
2. საგანი არ არსებობს მოცემული ენის სამყაროში, ამიტომ საგნის



პემოსვლასთან ერთად შემოდის მისი სახელიც.

3. ახალი სახელი უფრო მოხერხებულია, ვიდრე მოცემულ ენაზე ფორმირებული ან საკუთარი სახელი, ან ლესკრიფცია.

4. ერთეულის დასაბამი ენას გააჩნია ესპერანტოს ბუნება მისი განსაკუთრებული სისტემის გამო.

5. თვით ნასუსებ ენობრივ ერთეულს აქვს განსაკუთრებული, ინდექსალური, ანუ შითითების ბუნება.

6. ეს ერთეული განსაკუთრებულ ძალას შეტყველების აქტში იძენს.

7. ყოველი ახალი ენობრივი ერთეულის ენაში დამკვიდრება მოასწავებს ამ ერთეულის შესაბამისი ცნების ჩამოყალიბებას და მის ჩართვას მოცემული ენის ცნებათა სისტემაში და ამ სისტემიდან მომდინარე - ინფორმაციაში, შემდეგ, აქედან, ამ ენაზე მოლაპარაკეთა უკრწენასა და შემდეგ ცოდნაში გადასვლას; ახალი ენობრივი ერთეული შესაძლოა დაექვემდებაროს მიმღები ენის მეტაფორული ფუნქციის მოქმედებასაც.

„ენობრივი ფარდობითობის“ პრინციპი თავდაპირველად ჟორჯმა ახსენა და განსაზღვრა კიდევ. ამ პრინციპის არსი შემდეგში მდგომარეობს: მოცემულ ენაზე მოლაპარაკე სუბიექტები ისევე ემორჩილებიან ამ ენის ლინგვისტურ სტრუქტურებს, როგორც საგნები მიზიდულობის ძალას. ყოველ კონკრეტულ ენას საკუთარი ავტომატური და უნებლიე სტრუქტურები გააჩნია, რომლებიც ქმნის ამ ენის ფორმალურ სახეს, მის „გრამატიკას“ ამ სიტყვის ფართო გაგებით. მოლაპარაკე სუბიექტები მოხსენიებულ სტრუქტურათა ხმარების შედეგად გარეგნულად ერთგვართან ფაქტებს განსხვავებულად შეაფასებენ, ე.ი. ისინი სამყაროს სხვადასხვანაირად ხედავენ. თითოეულ ასეთ ხედვას, შესაძლოა გულუბრყვილს და ჩამოუყალიბებელს, შეუძლია წარმოქმნას სამყაროს ნათელი, ბარკვეული მეცნიერული ხედვა. ამგვარად, თანამედროვე მეცნიერების



სამყარო შედეგია გრამატიკის სისტემატური გონისმიერი გაახრებებისა, გრამატიკისა, რომლის საფუძველს დასაფუძური ინდო-ევროპული ენები წარმოადგენს. ენათა ამ ჯგუფში და შესაბამის ტერიტორიებზე მეცნიერების წარმოქმნა განაპირობა ისტორიული ფაქტების მთელმა მწკრივმა, რომლებმაც ბიძგი მისცა ვაჭრობის, ზომა-წონის სისტემის, ტექნოლოგიების გამოგონებასა და გამოყენებას. ხსენებულ ენებზე მოლაპარაკე ადამიანები არ აცნობიერებენ თავიანთი აზროვნებისა და მეტყველების არხების ილიომურ, განსაკუთრებულ ხასიათს, აირიკით, ისინი ამით სრულიად კმაყოფილდებიან და ისინი ლოგიკურად აუცილებლად მიიჩნეიან. სრულიად საწინააღმდეგო მდგომარეობაში იმყოფება ამ ენაზე მოლაპარაკე სუბიექტი, მისთვის დიდი ნაწილი უცხო ენაზე მიმდინარე ინტორმაციისა ზედმეტად ილიომურად და არალოგიკურად გამოიყურება; ასეთივე მდგომარეობა წარმოიქმნება საზოგადოების ცხოვრებაში ახალი ტექნოლოგიების და ახალი ისტორიული მოვლენების დამყარებისას, რასაც უშუალოდ მოსდევს ახალი ლინგვისტური წარმონაქმნების ჩამოყალიბება არსებულ ენობრივ ბაზაზე, ან რაც ნაყოფიერია, შესაბამისი ცნებების გადმოქანა, ანუ ახალი ერთეულების შემოსვლა სხვა ენებიდან; ეს უკანასკნელი მოვლენა მრავალნაირი არხით ხორციელდებოდა ყოველთვის და ხორციელდება ახლაც, XX საუკუნის ბოლოს, როცა ბაბილონის გოდოლის სრულიად საპირისპირო მოვლენები ხდება, ანუ უნივერსალური ინტეგრაცია, რომელსაც საფუძვლად უდევს ზესახელმწიფოთა უმადლესი და უმძღაფრესი ტექნოლოგიების დაფუძნება და გავრცელება, რასაც თან სდევს მათი პოლიტიკური, სამხედრო ჰეგემონია და ინტელექტუალური ექსპანსიის მტდელობა; ეს უკანასკნელი ძალზე თავისებური და ერთგვარად იღუპალებით მოცული პროცესია და ხშირად მას კმედების არაპროგნოზირებადი ხასიათი აქვს. ამჟამად, მსოფლიოს დიდ ნაწილში გავრცელებულია ინდო-ევროპული ენების საფუძველზე აგე-

ბული სამყაროს ასეთივე ხედვა ადამიანის აზროვნების ყველა სფეროში.  
ში: მეცნიერებაში, ხელოვნებაში, ეთიკასა და რელიგიაში.

ესადა, რომ ენობრივი ფარდობითობა ძლიერ საგრძნობ როლს თამაშობს დროის მოცემულ მონაკვეთში, ახლა, სინქრონიაში, როცა განსაზღვრულ ენაზე მოლაპარაკეთათვის ძნელია ამ ფსიქოლოგიური ზღვრის გადალახვა, რომელსაც მათ მშობლიური ენა უქმნის; დიაქრონიაში ეს მომენტი ქრება. ხომ ცნობილია, რომ ნებისმიერი ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის რაოდენობა ძლიერ შეზღუდულია, და, თუ არა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, არავინ ფიქრობს გამუდმებით ამა თუ იმ სიტყვის წარმომავლობაზე.

ამდენად, ახალი სიტყვის შემოსვლას ენაში უფრო მეტად სიტუაციური და ფსიქოლოგიური მომენტი განსაზღვრავს, ვიდრე წმინდად მონათხრობრივი პროცესები, თუ, რა თქმა უნდა, საცემ არ ეხება ღიად ენობრივ კატაკლიზმებს, მაგალითად, რომანულ ენათა ჩამოყალიბება და ა.შ.

ყველა ზემოთჩამოთვლილი საკითხიდან, შესაძლოა გამოვყოთ რამდენიმე:

1. ენაში ახალი ცვლადის ან მუდმივის შემოსვლა განპირობებულია იმით, რომ მოცემული ენა არ არის მზად ახალი საგნისათვის სახელის მისაცემად, ან იმიტომ, რომ ეს საგანი არ შედის ამ ენის საგანთა ონტოლოგიაში, ან იმიტომ, რომ ენამ ვერ მოასწრო ასეთი სახელის შექმნა.

2. უცხო სახელი უფრო მოსახერხებელია, ვიდრე საკუთარ ენაზე არსებული სახელი, ვინაიდან იგი ინდექსია, და, პირდაპირ, უმოკლესი გზით მიუთითებს საგანზე ან მოვლენაზე. იგი, თუ მის გაშლას ცდით, შეიძლება რეკლამას გვაგონებდეს, მოკლე სტენარითა და ძლიერ გამომხატველი სხვა კომპონენტებით.

3. ინგლისური ენა, თავისი სისტემის თავისებურების გამო, სულ

უფრო და უფრო იძენს ესპერანტოს ბუნებას.

4. რა თქმა უნდა, ნასესხები სიტყვა განსაკუთრებულ ძალას იძენს მეტყველების აქტში. ყველა ზემოთჩამოთვლილ ფაქტორს ემატება მეტყველების აქტის მონაწილეთა სწორი განწყობილება.

სწორი, არ ცოდნასთან ერთად, ხშირად გადამწყვეტია უცხო სიტყვათა ხმარებისას.

აქ, რა თქმა უნდა, ლაპარაკია იმ სიტყვებზე, რომლებიც რჩება ამა თუ იმ ენის სისტემაში, ცინაიდან ღია დერეფნის სისტემაში ათასობით სიტყვა გაივლის ისე, რომ ენაში არაერთაზრ კვალს არ დატოვებს.

ნასესხებ სიტყვათა ლექსიკონის შედგენისას აუცილებელია გახი-საზღვროს ლექსიკონის აგების პრინციპები. თვით ნასესხები სიტყვა ლექსიკონში გვევლინება როგორც ნეოლოგიზმი ან როგორც კალკა, ანუ როგორც სხვა ენიდან შემოტანილი მოდელი მსესხებელ ენაში. საერთოდ, ტრადიციული შეხედულების თანახმად, ნასესხები სიტყვები განისაზღვრება, როგორც სხვა ენის მოდელების გადმოუნა მსესხებელ ენაში.

მოდელებში აისახება სიტყვის როგორც მნიშვნელობის, ასევე ფორმის სტრუქტურის ჩამოყალიბების კანონზომიერება, უფრო კონკრეტულად, წესები. როცა სესხების პროცესი ჩვეულებრივ ტემპში, ე.ი. საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე თანაბრად მიმდინარეობს, მაშინ შესაძლებელია ნასესხებ სიტყვათა შემოსვლის განსაზღვრულ კანონზომიერებათა დადგენა, რაც ძალიან ძნელია სიტყვათა ენათშორისი კაოტიური მოძრაობის პირობებში. ზოგადად ზემოთ დასახელებული კანონზომიერებანი შემდეგნაირად გამოიკურება:

I. ნასესხები სიტყვა სრული ამოსავალი ჯორით შემოდის ენაში, ყოველგვარი მორფო-სემანტიკური ცვლილების ან სუბსტიტუციის გარეშე.  
planning (ფრანგული) - planning (ინგლისური).



2. ნასესხები სიტყვა ნაწილობრივ ფორმდება მსესხებელი ენის მორფოლოგიურ წესთა მიხედვით:

challengeur (ფრანგული) - challenger (ინგლისური).

3. ნასესხებ სიტყვას თან ახლავს ამოსავალი ენისათვის დამახასიათებელი სიტყვათშეერთების (სინტაქსის) წესები:

science-fiction (ფრანგული) - science-fiction (ინგლისური).

4. ნასესხები სიტყვა ემორჩილება მსესხებელი ენის ფორმალურ მოდელს, მაგრამ თარგმნის უცხოურ სიტყვას:

soucoupe volante (ფრანგული) - flying saucer (ინგლისური).

5. სესხების ფაქტს განსაზღვრავს სემანტიკური კონტამინაცია, ე.ი. დიუბუას მიერ შემოღებული ტერმინი და აღნიშნავს მნიშვნელობის შეცვლას უცხოური მოდელის გავლენით:

épervier (ფრანგული) - hawk (ინგლისური).

6. ნასესხები გამოთქმები-დეკრიფციები, რომლებშიც უჯუღუგებელი იყოფა უცხოური მოდელის ფორმალური სტრუქტურა და მსესხებელ ენაზე ითარგმნება ამ მოცემული მოდელის მნიშვნელობა:

"groupe de pression" (ფრანგული) - lobby (ინგლისური).

7. ნასესხები სიტყვები, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში ფორმდება ფრანგული ენის ფონეტიკის მიხედვით.

ეგვლბ ნასესხები სიტყვის მიმართ დგება საკითხი მიიღებს თუ არა მისხ მეორე ენა, თუ მოიწორებს როგორც უცხო ორგანიზმს. თუ სიტყვა მორფოლოგიურად და სინტაქსურად ფორმდება მსესხებელ ენაში, მაშინ ეს სიტყვა თანდათან ენის ლექსიკური ფონდის შემადგენელი ნაწილი ხდება, ხოლო თუ პროტოტიპს თან სდევს უცხო ენისათვის დამახასიათებელი ფონოლოგიური, სემანტიკური და გრამატიკული კორტეჯი, რომელიც მსესხებელ ენაში გზას იკაფავს და მკვიდრდება, მაშინ შეიძლება ერაი ენის მეორეზე გავლენის მოხდენის თვალსაზრისით მსჯელობა.



ნაშრომში მოცემული ლექსიკონი ეყრდნობა ძირითადად 90-ანი წლების ფრანგულ პრესაში წარმოდგენილ ანგლო-ამერიკანიზმებს. იგი აგებულია ანბანური პრინციპით. სიტყვათა რუბრიკები არ არის მკაცრად დიფერენცირებული, ვინაიდან ზოგიერთი სიტყვა საერთოდ არ გვხვდება არცერთ თანამედროვე ფრანგულ ლექსიკონში, ამდენად მათ არც თუ მკაცრი ფრანგული დეფინიციბა ახლავს; თუმცა, მოცემულია შესაბამისი მორფოლოგიური გაფორმება იმ შემთხვევაში, როცა ეს შესაძლებელია. ის სიტყვები, რომლებიც ლექსიკონშია აღრიცხული და შესულია ფრანგული ენის თეზაურუსში, აღჭურვილია ფრანგული დეფინიციით და შესაბამისი მორფოლოგიური გაფორმებით.

ზოგიერთი სიტყვა წარმოდგენილია როგორც კომპოზიტი, შედგენილი ინგლისური სინტაქსის, ოღონდ პრაგმატული მიზნით განპირობებული ფრანგული სიტყვათ-სედეციის საფუძველზე; ეს უკანასკნელი არ გვხვდება ინგლისურ ლექსიკონებში, ან მათი დეფინიციები სპონტანურად წარმოიგონება. ლექსიკონში ასეთი ერთეული განსაკუთრებული ნიშნით აღინიშნება.

აღრიცხება სიტყვათწარმოების საკმაოდ კანონზომიერი კლასები ერთფუძიანი ან ნაწარმოები სიტყვებიდან; ნაწილი ლექსიკონშია აღრიცხული, ნაწილი - არა.

✓ ნებისმიერი მოყვანილი წინადადება შეიძლება დავუშვებდებაროთ შესაბამის ენობრივ ანალიზს არჩეულ ენობრივ სისტემაზე დაყრდნობით. ნასესხები ერთეულის ტიპამდე მისაღწევად. ასეთი შესაძლებლობა მოცემულ ლექსიკონში ჩადებულია, აღიარებული ენობრივი კონცეფციის თანახმად და მიხიშალური საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა მისი მოქმედებაში მოყვანა. ნასესხები ერთეულის აღმოჩენის კრიტერიუმი ლექსიკონი და ინფორმანტია. დღეს ასეთი კრიტერიუმი განსაზღვრული წრეებისათვის ტრივიალურია, ვინაიდან ანგლო-ამერიკანიზმებისადმი განსაკუთ-



რებით განურჩევლობას იჩენს L'Humanité და L'Humanité Dimanche  
ამიტომ საილუსტრაციო მასალის დაწვრილებითი ანკეტირება შეუძლებელი  
ხდება მათი მრავალრიცხოვნების გამო.



## Sommaire



Le dramatisme de l'expansion anglo-américaniste et de l'apparition du "français" a nécessité une recherche socio-historique et psychologique des forces vitales et créatrices de la langue française contemporaine. La recherche du système linguistique s'effectue dans le cadre de la grammaire générative et des conceptions sémantiques modernes.

Le statut typologique de l'emprunt (anglo-américanisme) se définit à partir de la suite terminale comme signe linguistique muni de tous les paramètres qui caractérisent les processus sémiotiques. Ceux-ci se déroulant dans le système de la langue française confèrent à l'emprunt un rôle double: celui de déictique dynamique comme signe et de terme singulier comme élément du système sémantique formel de la langue. Dans de divers contextes de communication ce signe linguistique se comporte de diverses façons sans perdre toutefois l'essentiel de sa nature: son caractère déictique de réclame soutenu de dispositions psychologiques spécifiques. L'emprunt peut s'intégrer à n'importe quelle échelle de langue.

Le génie inhérent de l'anglais et l'expansion haute-technologique et politique de l'Amérique créent la base de l'espérantisation de l'anglais.

Le dictionnaire alphabétique des emprunts anglo-américains trace le portrait du chaos qui règne dans la relativité linguistique franco-anglaise. La prolifération des emprunts dans des langues est un phénomène inéluctable de la relativité linguistique et en même temps un moyen très efficace de l'enrichissement du vocabulaire. Le sens commun linguistique décide ce qu'il doit garder comme sien et ce qu'il doit bannir comme étranger.

1. "Français" –ს პრობლემა თანამედროვე ფრანგულში, უცხოური ენები  
სკოლაში, თბილისი, 1991, № 3,4.
2. ანგლიციზმების ტიპოლოგიური სტატუსი თანამედროვე ფრანგულ  
ენაში, არისტოტელეს სახელობის ბერძნულ-ქართული უნივერსიტეტის  
შრომები, თბილისი, 1994, ტ. I.
3. სემიოზისი და ნასესხებ სიტყვათა სტატუსი, ასეუ შრომები, იბეჭდება.

ნაბეჭდი თაბახი - 1,1

საალრიცხოვო საგამომცემლო თაბახი - 1,5

უ მ ა ს ლ

შპკვეთა № 19

ბირათი - 70

---

უ მ ა ა პილწობები

თბილისი ღავეთი აღმაშენებლის № 150